სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 სექტემბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/65

„ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში, კერძოდ, პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი N1 დანართის შესაბამისად, ბსუ-ს საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა), სამაგისტრო, სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.“.

2. <u>სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს</u> 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

3. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/65 დადგენილების

დანართი №1.

ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

(გარდა ინგლისურენოვანი პროგრამისა)

1. 2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) **საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან** (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა), სამაგისტრო, **სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე** წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2024 წლის 30 სექტემბერს** (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-25 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული/პირველი სასწავლო წლის სტუდენტებისათვის - 2024 წლის 21 ოქტომბერს) და დასრულდეს **2025 წლის 18 იანვარს**;

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** ან/და ცვლილებების შეტანა (სასწავლო კურსების რეგისტრაცია/არჩევა) **დასრულდეს 2024 წლის 12 ოქტომბერს** (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე -2024 წლის 26 ოქტომბერს).

გ) **საშობაო არდადეგები** გამოცხადდეს 2024 წლის 30 დეკემბრიდან 2025 წლის **8 იანვრამდე;**

დ) **ძირითადი გამოცდები** ჩატარდეს 2025 წლის 20 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2025 წლის 10 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2025 წლის 4 მარტს** და დასრულდეს **2025 წლის 14 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2025 წლის **22 თებერვალს** (გარე მობილობით ჩარიცხული სტუდენტების, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე **სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების** (რომლებიც 2024-25 სასწ.წლის გაზაფხულის სემესტრიდან დაბრუნდებიან სასწავლო პროცესში) **აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს** 2025 წლის 04 მარტიდან 15 დღის ვადაში;

გ) **ძირითადი გამოცდები** ჩატარდე 2025 წლის **16 ივნისიდან 5 ივლისის** ჩათვლით, ხოლო **დამატებითი გამოცდები** - 2025 წლის **7 ივლისიდან 12 ივლისის** ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება - 2025 წლის 14 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით;

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.